

ზოგადი სემანტიკური ყოფითი ტერმინებისათვის ქართულში

ენა რთული ფენომენია. მასში განირჩევა განსხვავებული ერობრივი შრეები, რომელთა წყაროა როგორც ენის განვითარების ისტორიული (ქრონოლოგიური) საფეხურები, ისე მისი გეოგრაფიული და სოციალური განშტოებანი (ქვესისტემები).

საერთო-სალიტერატურო ენა შეიძლება განვიხილოთ როგორც ენობრივი ერთეულების დამოკიდებულებათა ცენტრალური სისტემა და ლინგვისტური ინტერესის ხასიათის შესაბამისად მასთან მიმართებაში განვსაზღვროთ ამა თუ იმ ენობრივი ქვესისტემის, შრის, „ველის“ სტატუსი და კანონზომიერებანიც. ამგვარ მიმართებათა მაგალითებია: სალიტერატურო ენის ლექსიკა - დიალექტური ლექსიკა, სალიტერატურო ენის ტერმინოლოგია - დარგობრივი ლექსიკა... თავის მხრივ, ასეთი ბინარული სისტემები აგებულებით რთულია და მოიცავს დამოკიდებულებათა ქვეჯგუფურ შრეებს. მაგალითად, დარგობრივი ლექსიკა - ტერმინთა სისტემა (/ტერმინოლოგიური ველი). „ტერმინოლოგიური ველი“ (რეფორმატსკი) ეს არის ენის მოცემული ტერმინოლოგია, განსხვავებული სხვადასხვა დარგის მიხედვით, პარადიგმატიკის გარკვეული რგოლი, რომლის ფარგლებშიც ყოველი ტერმინი ერთ ცნებასთანაა დაკავშირებული და რომლის მიღმაც იგი კარგავს თავის თვისებას (რ. ლამბაშიძე, 1986, გვ. 9). ტერმინოლოგიური ველის სპეციფიკასა და მისეულ კანონზომიერებებს ტერმინთა სახეობა განსაზღვრავს. ამ თვალსაზრისით განსხვავებული „ქვევისა“ სამეცნიერო-თეორიული ტერმინი (ცნების დასახელება) და ყოფითი ტერმინი (საგნის დასახელება) (ვინოკური)¹. ყოფითი ტერმინის სპეციფიკა მის საგნობრიობასა და ენობრივი კოლექტივის მიერ მის აქტიურ გამოყენებაში ვლინდება.

ყოფით ტერმინთა სისტემის მაგალითად შეიძლება დავასახელოთ ტრადიციული ჭურჭლის ტერმინოლოგიური ველი. მასში შემავალ ლექსიკურ ერთეულთა საანალიზოდ ამჯერად მხოლოდ ზოგადი სემანტიკის ტერმინებზე შევჩერდებით (მასალა განხილული იქნება დიაქრონიულად, ქართული ენის ქვესისტემათა მონაცემების გათვალისწინებით). ესენია: საცეცხური/საცეცხლური, საგბოლველი, სადუღარი, გუადრაკი/გუარდაკი.

საცეცხლური პოლისემანტიკური სიტყვა იყო ძველ ქართულში. იგი აღნიშნავდა „ცეცხლჩასაყრელ ჭურჭელს; ცეცხლში სადგმელ ჭურჭელს“ (ილ. აბულ.). წერილობითი წყაროების სათანადო ადგილები მოწმობენ, რომ ამ სიტყვას ჰქონდა საჭმლის ხარშვისთვის გამოყენებული ჭურჭლის, ასევე, საეკლესიო დანიშნულების („ცეცხლჩასაყრელი“) ჭურჭლის მნიშვნელობა. კონტექსტებში: „მიეახლა დიაკონსა და მიიხუნა მისგან საცეცხური“ (ისტ. II. 6,24); „შეიხუნენ მას შინა საცეცხური, სავსენი საკუმეველითა“ (მ.ს.წ. 273, 6) - საცეცხური საეკლესიო ჭურჭლის აღმნიშვნელია, ხოლო წინადადებაში: „ქმნა ქირამ ფოცხუები

¹ ყოფითი ტერმინის შესატყვისია ბ. ფოჩხუასთან „პროდუქტის სახელი“. მეცნიერი დარგობრივ ლექსიკაში პროდუქტთან ერთად მისი შექმნისა და მოხმარების პროცესების ამსახველ ტერმინებს გამოყოფს (იხ. ბ. ფოჩხუა, თბ., 1974, გვ. 215).

და საცეცხურები“ (II ნშტ. 4,11) - იგივე ტერმინი სახარშავ ჭურჭელს აღნიშნავს.

„სიტყვის კონაში“ საცეცხური განიმარტება როგორც „სამღდელოთა ცეცხლის ჭურჭელი სუ(ლ)ნელთა საკმეველთა დასაკმეველად“, საბა მას საცეცხლე („ცეცხლთა ჭურჭელი, ცეცხლის ჩასაყრელი ჭურჭელი, სადა მარადის ცეცხლი ეგზების“) ცნების ბუდეში აერთიანებს (საბა).

საცეცხლური საღვთისმსახურო დანიშნულების ჭურჭელია დ. ჩუბინაშვილის განმარტებითაც: „მანკანა, მუჯამარი, ეკლესიაში ხმარებული სასაკმევლე“. აქვე მის სინონიმად დასახელებულია საცეცხლე (დ. ჩუბ.).

თანამედროვე სალიტერატურო ქართულში საცეცხლური მონოსემიურია, მას მხოლოდ სარიტუალო დანიშნულება შერჩენია: ქეგლ-ის მიხედვით, საცეცხლური არის „საკმევლის დასაკმევი ლითონის ჭურჭელი ღვთისმსახურების დროს“ (ქეგლ).

საცეცხლური წარმოების თვალსაზრისით დერიატია. ცხ- ძირი ქართველურია: სალიტ. ქართ. ცხ- (ცეცხლი, სიცხე, ცხელი); ზან. ჩხ- (დაჩხირი, სინჩხე)². საცეცხლური ნაწარმოებია ცეცხლისაგან. ეს უკანასკნელი კი მიღებულია სეცხლისაგან (არნ. ჩიქობავა). ჭანურ-მეგრული შესატყვისებია: ჭან. და-ჩხ-ურ/და-ჩხ-ირ-ი/და-ჩხ-ი-ი, მეგრ. და-ჩხ-ირ-ი.

ძირეულია -ცხ-. იგი კანონზომიერადაა გადმოცემული ჩხ-თი ჭანურსა და მეგრულში. ლ- დეტერმინანტი-სუფიქსია. მას შეესაბამება მორფოლოგიურად -ურ- ჭანურში. ურ→ირ-, დაჩხ-ურ→დაჩხ-ირ. ეს ვარიანტი წარმოდგენილია მეგრულში ხმოვანთა შორის რ-ს დაკარგვა გვაძლევს დაჩხი-ი-ს... თავკიდური ცე - მიღებულია სე-საგან და ნივთის კატეგორიის მაჩვენებელია. სე-ს ფუნქციონალური შესატყვისია და- ჭანურსა და მეგრულში (არნ. ჩიქობავა, 1938, გვ. 158)³.

არქაული ტერმინია საგბოლველი (ილ. აბულ.). იგი გბობა, გბოლვა „ხარშვა“ (საბა, დ. ჩუბ., ილ. აბულ.) ზმნის დერიატია („უგბე“ - IV მფ. 4,38). საზოგადოდ, სათანადო ფუძისაგან სიტყვაწარმოება საკმაოდ მრავალფეროვანია: მგბარი, მგბოლველი, უგბოლველი, უმგბარი, შეგბობა, შეგბოლვა (ილ. აბულ.); გბოლილი, მგბარი, მგბოლვარე, საგბოლისი, უგბილი, შეგბობა (საბა)⁴.

თანამედროვე ქართულში საგბოლველი აღარ გვაქვს. არც სათანადო ძირის შემცველი სხვა ფორმები გვხვდება. გბობა/გბოლვა ზმნის ადგილი ახალ ქართულში დაიჭირა „ხარშვა“⁵, მეგრულში - „ხაშუა“ ზმნამ. როგორც არნ. ჩიქობავა მიუთითებს, გბ-//გუბ-//გიბ- ძირს ხმარობენ მხოლოდ სვანური

² ვ. თოფურია მათ დაუყავს ირა სვან. შხ-ჩიხ-; ლიში „წვა“, „ნახშირი“, „ლი-შხ-ი“ ლი-შხ-ი შესაძლებელია ნაწარმოები იყოს შიხ („ნახშირი“) სიტყვისაგან და პირველად აღნიშნავდა „დანახშირება“ > „წვა“ ს (იხ. ვ. თოფურია, თბ., 1979, გვ. 89-90).

³ განსხვავებული ახსნაა ცეცხლის შედგენილობისა შ. ფენრიხისა და ზ. სარჯველაძის „ეტიმოლოგიურ ლექსიკონში“ (იხ. შ. ფენრიხი, ზ. სარჯველაძე, 1990, გვ. 424).

⁴ გბობა-ხარშვა იმდენად ასოცირდებოდა სამზარეულოსთან, რომ „საგბოლისი“ საბასა და დ. ჩუბინაშვილთან „ბაზრის სამზარეულოდ“ განიმარტება (საბა; დ. ჩუბ.).

⁵ „ხარშვა“, საბასა და დ. ჩუბინაშვილის მიხედვით, „გბობა“-ს სინონიმია. ქეგლ-ის მიხედვით, ხარშვა დუღებით საჭმლის (ან დასალევის) მომზადებას გულისხმობს. დერიატიაც მრავალფეროვანია (ხარშავს, მოხარშავს, იხარშავს, იხარშება, ხარშვა, მხარშავი, ნახარში, სახარშ(ავ)ი, უხარშავი, მოხარშული)..

და ჭანური, ერთი მხრით, ძველი ქართული, მეორე მხრით. მეგრულში ეს ძირი ზოგიერთ გამოთქმაშილა შემოგვენახა: ასე მაგ.: აბრეშუმის პარკზე (დაფზე) „გიბუა“ ითქმის და არა „ხაშუა“, აგრეთვე, „აბედის მოხარშვის“ შესახებ იტყვიან: ობედი დოგიბუ „აბედი მოხარშა“ (არნ. ჩიქობავა, 1938, გვ. 266).

სამეცნიერო ლიტერატურაში *-გაბ-/გბ არქეტიპი აღდგენილია საერთოქართველური ფუძე-ენის დონეზე:

ქართ. გბ- გბ-ობ-ა; შე-გბ-ობ-ა; გბ-ოლ-ვ-ა; მ-გბ-არ-ი; გბ-ოლ-ვ-ილ-ი; უ-მ-გბ-არ-ი; უ-გბ-ოლ-ვ-ელ-ი; სა-გბ-ოლ-ვ-ელ-ი...

მეგრ. გიბ- გიბ-უ-ა „ხარშვა აბრეშუმის ძაფისა“; გიბ-უნ-ს „ხარშავს“; ნა-გიბ-ა „ნახარში“.

ლაზ. გუბ-/გიბ/ჯიბ ო-გუბ-უ/ო-გიბ-უ „ხარშვა“; ბ-გუბ-ამ „ვხარშავ“, ბ-გუბ-ი „მოვხარშე“; გუბ-ერ-ი/გიბ-ერ-ი „მოხარშული“; უ-გუბ-უ „მოუხარშავი“.

სვან. ჯაბ-//ჯბ- ლი-ჯაბ „ხარშვა“; ხტ-ა-ჯბ-ი „ვხარშავ“, ონ-ჯაბ „მოვხარშე“...

გაბ->გბ- რედუცირებულია ძირისეული ხმოვანი -ობ, -ოლ, -არ ხმოვნებით დაწყებული სუფიქსების ზეგავლენით.

გაბ- ძირის ზუსტი ფონემური შესატყვისები წარმოდგენილია მეგრულში, ლაზურსა და სვანურში. მეგრული გიბ-<გუბ<გობ. ა-ს შესატყვისი ო მეგრულში ბ-ს მეზობელ პოზიციაში უ-დ იქცა, შემდგომში უ>ი.

ლაზურში გვაქვს გუბ-(*<გობ-), გიბ-(<გუბ-) და ჯიბ-(<გიბ-) ვარიანტები. ათინური ჯიბ- ათინურისათვის დამახასიათებელი გუჯ პროცესის შედეგად არის მიღებული.

სვანურში ჯაბ-<გაბ; შემდგომ მივიღეთ ჯბ- ვარიანტიც (წ. ფენრიხი, ზ. სარჯველაძე, 1990, გვ. 70-71).⁶

შექამანდის მოსამზადებლად (საჭმლის ხარშვისათვის) გამოყენებული ქურჭლის ზოგადი სახელია სადულარი: „არცა სადულარისა საჭურჭლისა ჯერ-არს ქონებად“- პეტრიწ. 4,41 (ზ. სარჯვ.). სადულარის სემანტიკა საგბოლველის შინაარსის მსგავსია. აღუღება ამ შემთხვევაში ხარშვასთან არის გაიგივებული (შდრ. კოჭობი - „კეცის სადულარი, კეცის სახარში“-საბა). ამიტომაც სადულარის სინონიმად გამოიყენება ქოთანი (ქეგლ).

დიალექტებში სადულარი ზოგადი სემანტიკით ან დაკონკრეტებული მნიშვნელობით გამოიყენება. კახურში სადულარი ქოთან-კოჭობის საერთო სახელიც არის და ქოთანის მეორე სახელწოდებასაც წარმოადგენს (ლ. ბოჭორიშვილი, 1949, გვ. 48). ქიზიყურის მიხედვით, სადულარი დიდი ქოთანია, მასზე მცირე ზომისა - კოჭობი, შუალედური ქურქელია ქოთანი (ივ. ჯავახ., მას. გვ. 22). ჯავახურში სადულარა ეწოდება მოზრდილ ქოთანს (ივ. ჯავახ., მას. გვ. 143). ჯავახურმა საგნობრივი მნიშვნელობის გასამყარებლად გამოიყენა „ა“ სუფიქსი. ა-ს მასუბსტანტივებელი ძალა სამეცნიერო ლიტერატურაში კარგად არის წარმოჩენილი.

სადულარი დულ- ძირის დერივატია. *დულ- ძირი საერთოქართველურია.

ს.-ქართვ. დულ- „დულილი, ხარშვა“ → სალიტ. ქართ. დულ- „დულს“, დულ-ილ-ი, ნა-დულ-ი, მ-დულ-არ-ე“;

⁶ გბ-ს სხვაგვარი ანალიზისათვის იხ. თ. გამყრელიძე, გ. მაჭავარიანი, თბ., 1965, გვ. 115.

ზან. (მეგრ.) დულ-ა „მდულარე“, დულ-უ-ა „მდულარეში გავლება“, დულ-ილ-ი; ჭან. ნდულ-, გე-ნ-დულ-ერ-ი „საქმლის სახეობა“.

სვან. (დულ)-, ა-დლ-მ; ე//ა-დღტ-ე ბზ., ბქ., ა-დღიჟ-ე „კაშკაშებს“.

მ. ჩუხუას მიხედვით, უფრო ძველი სახეობა სვანური ალომორფებიდან დღიჟ- უნდა იყოს, რომელიც *დჟიდ საფეხურის გავლით არის მიღებული - *დულ-→*დჟიდ→*დღიჟ. მისივე აზრით, „კაშკაშის“ სემას სვანურში „დულილის“ გაგება უდევს საფუძვლად; დულს → კაშკაშებს.

მეცნიერს მოჰყავს ს -ქართვ. *დულ ძირის ჩრდილო კავკასიური შესატყვისები: ს-ნახ. დილლ← დიჟჟ „ბულიონი“; ხუნძ. ჰამო..., ბეჟიტ. დაყო, ხვარშ. დოჟუ, ჰუნზ. დაჟუ, დაკ. ნაჟ, დარგ, ნირლ, არჩიბ. დიჟ, რუთ. რიჟ, აღ. რაჟ (მ. ჩუხუა, 2001, გვ. 95).

კიდევ ერთი ზოგადი სემანტიკის ყოფნით ტერმინია გუადრაკი. იგი სხვადასხვა ფორმით გვხვდება: გუადრაკი/გუარდაკი (ილ. აბულ.); გუადრაკი/გუარდაკი/გვადრაკი (საბა); გვადრაკი/გუდარაკი (დ. ჩუბ.).

ილ. აბულაძის ლექსიკონის მიხედვით, გუადრაკი/გუარდაკი „სახარშავი ქურჭელია“ (საცეცხლური); „გუადრაკები ვერცხლისაი ოცდაცხრა“ (ებრა, 2,13); „აღმოაგო იგი გუარდაკთა“- (0,11მფ.) (ილ. აბულ.).

საბას განმარტებით, გუადრაკი „საგბოლველი ქურჭლის“ სახელია (საბა).

დ. ჩუბინაშვილის ლექსიკონში „საგბოლველი ან სადულეზელი ქურჭლის: ქვაბი, სიავი, ტაფა აღმნიშვნელია გუდარაკი (დ.ჩუბ.), ხოლო გვადრაკი გვალაგის სინონიმად არის ჩათვლილი და განიმარტება, როგორც გვადრუცი (გვადრუცი - ყუთი ფულის შესანახავი) (დ. ჩუბ.).

გვარდაკი არაქართული ტერმინია. იგი საშუალო სპარსულიდან უნდა ჰქონდეს შეთვისებული ქართულს (მზ. ანდრონიკაშვილი, 1966 გვ. 208, 302).

განხილული ტერმინები სხვადასხვა თვალსაზრისით არის საინტერესო, კერძოდ: როგორია მათი ტერმინოლოგიზაციის გზა, ზოგადი სემანტიკის მოტივაციური საფუძველი, შინაარსის დიაქრონიული განვითარება, პარადიგმატული და სინტაგმატური ფუნქციონირების კანონზომიერებანი, ამ უკანასკნელზე ექსტრალინგვისტური ფაქტორების გავლენა.

დასმულ საკითხებზე საბასუბოდ აუცილებელია სათანადო ტერმინების ფორმათა გათვალისწინება. ყველა მათგანი პრეფიქს-სუფიქსური წარმოებისაა.

საგბოლველი და სადულარი მიმღეობებია. მიმღეობის ფუნქციონალური პოტენცია კი, რომელიც მისი ორმაგი (ზმნური და სახელური) ბუნებით არის განპირობებული, ამ ტიპის ლექსიკური ერთეულის სხვადასხვაგვარი რეალიზების საშუალებას იძლევა. ზმნური შინაარსი ტერმინისათვის ნიშანდობლივი გამჭირვალე სემანტიკური ორიენტირია, სახელური ფუნქცია კი - გასაგნობრივების საფუძველი. ნებისმიერი ენობრივი ერთეულის სინტაგმატური, ფუნქციონალური შესაძლებლობანი სათავეს, უწინარესად, ამ ერთეულის ლექსიკურ და მორფოლოგიურ სემანტიკაში იღებს (ავთ. არაბული, 2001, გვ. 228). მიმღეობის სათანადო ლექსიკურ-მორფოლოგიური სემანტიკის გამო მისი პრიორიტეტული სინტაგმატური პოზიცია ზედსართაული პოზიციაა, რომელიც ფუნქციონალური ტრანსპოზიციის ორი მიმართულებით - სუბსტანტივაციითა და ადიექტივაციით - რეალიზდება. შესაბამისად, ერთი და იგივე ლექსიკური ერთეული მსაზღვრელის ან საზღვრულის სახით გვევლინება.

ტერმინოლოგიურ ველში მიმდებარის ამგვარი შესაძლებლობა მისი ტერმინოლოგიური შესიტყვების მსაზღვრელ წევრად ან დამოუკიდებელ ტერმინად წარმოდგენას იწვევს. უფრო მეტიც, ადიექტივაცია-სუბსტანტივაცია ტერმინოლოგიზაციის თანმიმდევრულ ეტაპებად იქცევა და განსხვავებულ ტერმინოლოგიურ მონაკვეთსა თუ ენობრივ ქვესისტემაში სათანადო ლექსიკურ ერთეულს სხვადასხვა სტატუსით წარმოგვიდგენს.

საგბოლველი და სადუღარი უძველეს საერთო ქართველურ ძირთა დერივატებია. გასაკვირი არ არის, რომ ენამ ჭურჭლის ტერმინოლოგიის სათანადო ჯგუფისათვის (სამზარეულო ჭურჭლისათვის) ნიშანდობლივი შინაარსი - შეჭამანდის მომზადების, დუღილის, ხარშვის პროცესი - შესაბამის ტერმინთა მოტივაციის საერთო სემანტიკურ ნიშნად აქცია და მიმდებარე ზოგადი სემანტიკის ყოფით ტერმინებად ჩამოაყალიბა. ამავ დროს, ტერმინოლოგიზაციის სათანადო ეტაპის შესაბამისად საგბოლველი და სადუღარი ჯერ ტერმინოლოგიური შესიტყვების მსაზღვრელ წევრებად მოგვევლინენ (საგბოლველი/სადუღარი ჭურჭელი), შემდეგ კი გასუბსტანტივდნენ (სადუღარი).

ტერმინის არსებობის ნიშანდობლივი პრინციპი მისი არასინონიმურობაა. სინონიმურ ტერმინთაგან რომელიმე იკარგება ან სემანტიკურ ცვლილებას განიცდის. დაიკარგა საგბოლველი, გუადრაკი, სადუღარმა კი მეტ-ნაკლებად შეინარჩუნა ზოგადი შინაარსი (იხ. ზემოთ).

ყოფითი ტერმინის სპეციფიკა ექსტრალინგვისტური ფაქტორების მოქმედებითაც ვლინდება. ყოფით ტერმინს აქტიურად მოიხმარს ენობრივი კოლექტივი და მისი პოზიციაც ზოგჯერ გადამწყვეტია: მომხმარებელი იყენებს კონკრეტული სახეობის ჭურჭელს და მხოლოდ მათი აღმნიშვნელი ტერმინებით არის დაინტერესებული. ზოგადი შინაარსის ლექსემები მის მეტყველებაში პასიურია. ასეთი ტერმინები კონკრეტიზდებიან (სადუღარი) ან საერთოდ იკარგებიან (საგბოლველი, გუადრაკი).

საცეცხლური დანიშნულების სახელია. ფუნქციონალურად იგი მიმდებარის იდენტურია და ტერმინოლოგიზაციის ზემოგანხილული კანონზომიერებანი მასზეც ვრცელდება. თუმცა მას კიდევ ერთი თავისებურება ახასიათებს: სახელდების თვალსაზრისით მრავალფეროვანი დიფერენციაციის შესაძლებლობა. საცეცხლურისათვის საჭმლის ხარშვისათვის განკუთვნილობა მეორეული, ზედმეტიც. აღმოჩნდა, მან უშუალოდ ცეცხლთან დაკავშირებული მნიშვნელობა განივითარა და სასაკმევლის აღმნიშვნელად დარჩა (ნ. ფხაკაძე, 2002, გვ. 23).

ლიტერატურა

- ილ. აბულაძე, 1973 - ი. აბულაძე, ძველი ქართული ენის ლექსიკონი, თბ., 1973.
- ავთ. არაბული, 2001 - ავთ. არაბული, ზმნური და სახელური ფუძეთქმნადობის პრობლემა ქართველურ ენებში, თბ., 2001.
- თ. გამყრელიძე, გ. მაჭავარიანი, 1965 - თ. გამყრელიძე, გ. მაჭავარიანი, სონანტთა სისტემა და აბლაუტი ქართველურ ენებში, თბ., 1965.
- ვ. თოფურია, 1979 - ვ. თოფურია, ქართველურ ენათა სიტყვაწარმოებიდან, შრომები., III, თბ., 1979.
- საბა, 1991-1993 - საბა-სულხან ორბელიანი, ლექსიკონი ქართული, ტ. I-II, თბ., 1991-1993.
- ზ. სარჯველაძე, 1995 - ზ. სარჯველაძე, ძველი ქართული ენის ლექსიკონი, თბ., 1995.
- ჰ. ფენრიხი, ზ. სარჯველაძე, 1990 - ჰ. ფენრიხი, ზ. სარჯველაძე, ქართველურ ენათა ეტიმოლოგიური ლექსიკონი, თბ., 1990.
- ბ. ფოჩხუა, 1974 - ბ. ფოჩხუა, ქართული ენის ლექსიკოლოგია, თბ., 1974.
- ნ. ფხაკაძე, 2002 - ნ. ფხაკაძე, სემანტიკური ორიენტირის როლისათვის ტერმინთქმნადობაში: ქუთ. საერო ინსტიტუტის გელათის მოაზბე, №9, 2002.
- ჭებელ - ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, I-VIII, თბ., 1950-1964.
- რ. ლამბაშიძე, 1986 - რ. ლამბაშიძე, ქართული სამეცნიერო ტერმინოლოგია და მისი შედგენის ძირითადი პრინციპები, თბ., 1986.
- არნ. ჩიქობავა, 1938 - არნ. ჩიქობავა, ჭანურ-ქართული შედარებითი ლექსიკონი, თბ., 1938.
- დ. ჩუბინაშვილი, 1984. - დ. ჩუბინაშვილი, ქართულ-რუსული ელქსიკონი., თბ., 1984.
- მ. ჩუხუა, 2003 - მ. ჩუხუა, ქართველურ ენა-კილოთა შედარებითი ლექსიკონი, თბ., 2003.
- ივ. ჯავახიშვილი, 1979 - ივ. ჯავახიშვილი, მასალები შინამრეწველობისა და ხელოსნობის ისტორიისათვის, II, თბ., 1979.

NINO PKHAKADZE**ON THE CUSTOMARY TERMS OF GENERIC SEMANTIC
IN GEORGIAN**

A terminological field should be conceived as an ordered formal and semantic system of terms. It is a limited system as far as it is within the area where the linguistic processes, characteristic of it occur (though the opportunities of terminology have been conditioned by the common potentials of a language). A kind of terms determines characteristics and regularities of a terminological field. In this respect, a scientific term, (concept reference) and a customary term (object reference) 'behave' differently. Characteristics of a customary term reveals in its objectiveness and in its use by a linguistic community.

The character of a customary term has been determined by the linguistic features of a terminological grammatical inventory. A participle (with verbal semantics and nominal function) and a destinative substantive give generic meaning to a customary term. The establishment of terms has been simultaneously influenced by both linguistic (non-synonymous terms, transparency of semantic orientation) and extra-linguistic (linguistic community's standpoint) factors.

From the said viewpoint, I discuss the terms of generic semantic in the terminology of dishes (a system of customary terms) - *sacecluri*, *sagbolveli*, *gvadraki/gvardaki* (diachronically, based on language subsystems).